

ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „**ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულება**“ ან „**სპეციფიკური პირობები**“) განსაზღვრავს სპეციფიკურ პირობებს სს „ბაზისბანკსა“ (შემდგომში „**ბანკი**“) და ბანკის კლიენტ ფიზიკურ პირ(ებ)ს (შემდგომში „**კლიენტი**“ ან „**ანგარიშის მფლობელი**“) შორის გაფორმებული საკრედიტო ბარათით მომსახურების შესახებ, ასევე მიმდინარე ან/და საბარათო ანგარიშზე ოვერდრაფტით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებებისთვის (შემდგომში „**საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულება**“ ან „**ძირითადი პირობები**“), რომლებიც მითითებას აკეთებენ წინამდებარე სპეციფიკურ პირობებზე და განსაზღვრავენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

1.2. ბანკსა და კლიენტს შორის საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმებული იყოს წერილობითი ფორმით ან ბანკის დისტანციური მომსახურების არხის საშუალებით (დისტანციურად).

1.3. საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულება განსაზღვრავს საკრედიტო ურთიერთობის კონკრეტულ, არსებით პირობებს (საკრედიტო ლიმიტის მოცულობა, ვადა, საპროცენტო სარგებელი, კრედიტის გამოთხოვისა და საკრედიტო ლიმიტით მომსახურების შეწყვეტის პირობები და ა.შ), ხოლო სპეციფიკური პირობები აზუსტებს მათ და არეგულირებს მხარეთა საკრედიტო ურთიერთობის ყველა იმ საკითხს, რაც განსაზღვრული არ არის ძირითადი პირობებით. ძირითად პირობებს (მათ შორის, მის დანართ(ებ)ს) და სპეციფიკურ პირობებს შორის არსებითი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ძირითად პირობებსა და მის დანართებს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ სპეციფიკური პირობები აზუსტებს ძირითადი პირობებით განსაზღვრულ საკითხებს.

1.3.1. ბანკის მიერ საბარათო ინსტრუმენტით (შემდგომში „**ბარათი**“ ან „**საკრედიტო ბარათი**“), აგრეთვე მიმდინარე და/ან საბარათო ანგარიშ(ებ)ით (შემდგომში „**ანგარიში**“) მომსახურების პირობები, მხარეთა შესაბამისი ვალდებულებები და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულებით, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე www.basisbank.ge და წარმოადგენს ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს.

1.3.2. მიმდინარე/საბარათო ანგარიშებისა და ბარათით მომსახურებასთან დაკავშირებული ტარიფები (შემდგომში „**ტარიფები**“) განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე www.basisbank.ge და წარმოადგენს ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს.

1.4. წინამდებარე ხელშეკრულებასა და ძირითად პირობებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- **არაუარყოფითი ნაშთი/დადებითი ნაშთი** – როდესაც ანგარიშის მფლობელს საბარათო ანგარიშზე ბანკის წინაშე არ გააჩნია ფინანსური ვალდებულება;
- **არასანქცირებული კრედიტი** – ლიმიტით გაუთვალისწინებელი გადახარჯული თანხა.
- **გადახდის ოპერაცია** – სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ჩატარებული (მათ შორის, ბარათის გამოყენებით) ოპერაცია, რომლის დროსაც კლიენტმა შეიძინა ნივთი ან/და მომსახურება;
- **გადახარჯვა** – ანგარიშზე შესაბამისი თანხის (მათ შორის საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში) არ არსებობის შემთხვევაში თანხის გახარჯვა;
- **განაღების ოპერაცია** – ანგარიშიდან ან/და ბარათის გამოყენებით, ბანკომატის მეშვეობით ჩატარებული თანხის განაღების ოპერაცია;
- **გადახდის თარიღი** – თარიღი, რომელშიც საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად წარმოებს მინიმალური გადასახადის გადახდა;
- **დაანგარიშების თარიღი** – თარიღი, რომელშიც წარმოებს მინიმალური გადასახადის დაანგარიშება;
- **დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის / საკრედიტო ლიმიტის გაუქმება** – ბანკის ინიციატივით ბარათის და/ან საკრედიტო ლიმიტის მოქმედების შეწყვეტა დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, რასაც მოჰყვება ბანკის მოთხოვნა ათვისებული კრედიტისა და მასზე დარიცხული ყველა გადასახდელის და ბანკის წინაშე არსებული კლიენტის ყველა გადასახდელის დაუყოვნებლივ დაფარვის შესახებ;
- **დებეტური ნაშთი** – როდესაც ანგარიშის მფლობელს საბარათო ანგარიშზე ბანკის წინაშე გააჩნია ფინანსური ვალდებულება;
- **ვადაგადაცილების თარიღი** – გადახდის თარიღის მომდევნო დღე;
- **ვადაგადაცილებული დავალიანება** – კლიენტის დავალიანება ბანკის წინაშე, რომელიც არ არის დაფარული პირობებით გათვალისწინებულ ვადებში;
- **მინიმალური გადასახადი** – ყოველთვიურად გადასახდელი მინიმალური თანხა, რომელიც განისაზღვრება საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად;
- **ოპერაციის ასახვის დღე** – ამონაწერში ოპერაციის ასახვის დღე;
- **საკრედიტო ლიმიტი** – კრედიტის მოცულობა, რომელიც განისაზღვრება ძირითადი პირობებით და რომლის ფარგლებშიც კლიენტს უფლება აქვს მოახდინოს თანხის გახარჯვა ანგარიშიდან;
- **საჯარიმო პერიოდი** – დროის პერიოდი ვადაგადაცილების თარიღიდან ვადაგადაცილებული დავალიანების სრულად დაფარვამდე ან/და დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ბარათის ან/და საკრედიტო ლიმიტის გაუქმების თარიღამდე;

- **საშეღავათო პერიოდი** – პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ანგარიშის მფლობელის მიერ საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში გამოყენებულ თანხას სარგებელი არ ერიცხება.

მუხლი 2. საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისა და კრედიტის დაბრუნების პირობები

2.1. საკრედიტო ლიმიტის ათვისების შედეგად წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა შესაძლებელია როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ/ეტაპობრივად. ყოველთვიურად დასაფარი მინიმალური გადასახადის დაფარვა სავალდებულოა გადახდის თარიღის ჩათვლით, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტს დაეკისრება ჯარიმა/პირგასამტეხლო. საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებულ კრედიტს არ ერიცხება ჯარიმა/პირგასამტეხლო, თუ თანხის შეტანის (გადახდის) თარიღი დაემთხვევა კანონით გათვალისწინებულ უქმე დღეს და/ან ბანკის არასამუშაო დღეს. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია, გადახდა განახორციელოს მომდევნო სამუშაო დღეს.

2.2. გადახდის თარიღისათვის მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკი განახორციელებს საკრედიტო ლიმიტის და ბარათის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბლოკირებას. თუ ბანკის მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული ან/და არ არსებობს რაიმე ხელშეშლელი გარემოება, ბარათის/საკრედიტო ლიმიტის გააქტიურება მოხდება ვადაგადაცილებული დავალიანების სრულად გადახდის შემდეგ (ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში).

2.3. თუ ძირითადი პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მინიმალური გადასახადის გადაუხდელობისთვის დარიცხული ჯარიმა/პირგასამტეხლო გაითვალისწინება მომდევნო მინიმალურ გადასახადში და ჩამოიჭრება მინიმალური გადასახადის გადახდისას. მინიმალური გადასახადის გადაუხდელობისთვის დაკისრებული ჯარიმის/პირგასამტეხლოს ან/და სარგებლის (წლიური პროცენტი) თანხის ჩამოწრა ხორციელდება საკრედიტო ლიმიტის ათვისების ხარჯზე. თუ კლიენტს საკრედიტო ლიმიტი სრულად აქვს ათვისებული, ამ შემთხვევაში ჯარიმის თანხის ჩამოწრა ხორციელდება საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის ხარჯზე.

2.4. თუ კრედიტზე არ ვრცელდება საშეღავათო პერიოდისათვის გათვალისწინებული პირობები, მაშინ საპროცენტო სარგებელი იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, თვეში 30 (ოცდაათი) დღეზე გაანგარიშებით. თუ კლიენტი სარგებლობს საშეღავათო პერიოდით კრედიტის ძირითად თანხაზე და/ან დარიცხულ პროცენტზე, საშეღავათო პირობები განისაზღვრება ძირითადი პირობებით. კლიენტის მიერ კრედიტის სრულად, ან ნაწილობრივ დაფარვის/შემცირების შემთხვევაში, პირველ რიგში დაიფარება საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული სარგებელი სრულად.

2.5. თუ ძირითადი პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გადახდილი თანხ(ებ)ით, კლიენტის დავალიანება ბანკის მიმართ დაიფარება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში სადაზღვევო პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ გადახარჯული თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული პირგასამტეხლო, ჯარიმა, საკომისიო(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული პროცენტი და ბოლოს, კრედიტის ძირითადი თანხა.

2.6. კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებასზე, გადახდის ვადის გადაცილებისთანავე, კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშიდან კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოწეროს კლიენტის მიმდინარე/ვადადამოსული ვალდებულებების (მათ შორის, კრედიტის ძირი, დარიცხული საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო, ჯარიმა, საკომისიო), ასევე, ვალდებულებათა ვადამდე დასაფარად საკმარისი თანხები ბანკის მიმართ წარმოქმნილი ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარად. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის ბანკის მიერ დადგენილი კურსით, რომლის მომსახურების ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ ჩამოიწერება კლიენტს ანგარიშიდან, ხოლო კონვერტირებული თანხა გამოყენებული იქნება კლიენტის დავალიანების დასაფარად. თუ ბანკში გახსნილ კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე არ აღმოჩნდა დავალიანების დასაფარად საკმარისი თანხა, ბანკი უფლებას იტოვებს მოახდინოს დავალიანების თანხის მოცულობით კლიენტის ანგარიშების დაჯავშნა, დავალიანების სრულად დაფარვამდე.

2.7. ბანკის მხრიდან წინამდებარე მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს ბანკის წინაშე არსებული ყველაწარმოადგენი დავალიანება ბანკის მიერ მითითებული თარიღისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს დავალიანების დაფარვა კლიენტის ნებისმიერი აქტივიდან.

2.8. თუ ძირითადი პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ბანკში კლიენტის ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანების არსებობისას, როდესაც კლიენტის ანგარიშზე განთავსებული თანხა საკმარისი არ არის ერთზე მეტი ვადადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულებების სრულად შესასრულებლად, კლიენტი უფლებამოსილია, სს „ბაზისბანკის“ სერვისცენტრში წარდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე, თავად განსაზღვროს ვალდებულებების დაფარვის რიგითობა. კლიენტის განცხადების არარსებობის შემთხვევაში, შესაბამისი საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება შემდეგი რიგითობით: პირველ რიგში იფარება ვადაგადაცილებაში მყოფი არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები, შემდეგ ვადაგადაცილებაში მყოფი უზრუნველყოფილი ვალდებულებები, შემდეგ ვადადამოსული არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები და ბოლოს ვადადამოსული უზრუნველყოფილი ვალდებულებები; ამასთან, ერთი და იმავე კატეგორიის ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება დაფარვის მომენტში არსებული ვალდებულების ძირი თანხის ნაშთის კლებადობით, უდიდესიდან უმცირესისკენ.

2.9. მხარეები თანხმდებიან და კლიენტი უფლებას ანიჭებს ბანკს, რომ ბანკის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში, კლიენტის ვალდებულებების შესრულება მიიღოს მესამე პირ(ებ)ისგან.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. **ბანკი უფლებამოსილია**, საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე:

3.1.1. მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის გაზრდის ან შემცირების შესახებ;

3.1.2. შეცვალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, კლიენტთან შეთანხმებული წესით;

3.1.3. კლიენტის ანგარიშზე ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში, მოითხოვოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაცია, თუ კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ რომელიმე ანგარიშზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარავად;

3.1.4. შეაჩეროს/გააუქმოს საკრედიტო ლიმიტის და ბარათის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოქმედება და შეწყვიტოს შესაბამისი მომსახურება კლიენტისათვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე და მოითხოვოს კლიენტის მიერ ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ პროცენტთან, საკომისიოსთან და ჯარიმასთან/პირგასამტეხლოსთან ერთად, ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობისას:

- საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის, თუ კლიენტი დაარღვევს აღნიშნული ხელშეკრულების პირობებს;
- გაუარესდება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა, ან ბანკს მიაჩნია, რომ შეიქმნება ამგვარი გარემოების დადგომის საფრთხე;
- კლიენტს ბანკის წინაშე გააჩნია ნებისმიერი სახის ვადაგადაცილებული დავალიანება;
- კლიენტის მოქმედება მიმართულია ბანკის მოტყუებისაკენ;

3.1.5. მოთხოვოს კლიენტს ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფა იპოთეკით, გირავნობით ან/და თავდებობით;

3.1.6. პირველივე ვადაგადაცილებისას განახორციელოს ბარათის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბლოკირება და შეაჩეროს საკრედიტო ლიმიტის ათვისების უფლება;

3.1.7. საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და/ან ვალდებულებები, უზრუნველყოფის საშუალებებსა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მათთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებთან ერთად, სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირ(ებს), კლიენტის დამატებითი შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, მესამე პირს გადასცეს საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებთან კავშირში მყოფი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია, რაზეც კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

3.2. ბანკი ვალდებულია:

3.2.1. დაიცვას ანგარიშის მფლობელთან დაკავშირებულ ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების კონფიდენციალურობა, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას. გამონაკლისს წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები/გამონაკლისები, ან თუ საქმე ეხება ბანკის კანონიერი ინტერესების დაცვას;

3.2.2. მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ანგარიშის მფლობელს სრული და ზუსტი ინფორმაცია ამონაწერის სახით, ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ;

3.3. კლიენტი უფლებამოსილია:

3.3.1. მიმართოს ბანკს თხოვნით საკრედიტო ლიმიტის მოცულობის გაზრდის ან შემცირების შესახებ;

3.3.2. მოითხოვოს საკრედიტო ლიმიტით და/ან ბარათით მომსახურების შეწყვეტა, რისთვისაც იგი ვალდებულია, მთლიანად დაფაროს საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავალიანება;

3.3.3. ანგარიშზე განათავსოს საკუთარი ფულადი სახსრები;

3.4. კლიენტი ვალდებულია:

3.4.1. საკრედიტო ლიმიტის ათვისების შემთხვევაში, განახორციელოს სავალდებულო მინიმალური შენატანის, ათვისებული კრედიტის, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის, საკომისიო(ები)ს და ჯარიმის/პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით;

3.4.2. სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ბანკის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება. კლიენტის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია შეთანხმებულ თარიღში და შესაბამისი ანგარიშ(ებ)ის/ თანხ(ებ)ის მიმართ არ მოქმედებს რაიმე სახის სამართლებრივი შეზღუდვა. თუ გადახდის თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევო საბანკო დღისა.

3.4.3. კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხვიდან პირველ რიგში დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება;

3.4.4. გადახარჯვის შემთხვევაში, სრულად დაფაროს საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტს ზევით გადახარჯული თანხა, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მასზე დარიცხული პროცენტის ჩათვლით;

3.4.5. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია გონივრულ ვადაში, თუმცა, არაუგვიანეს ბანკის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღისა (თუ მხარეები სხვა ვადაზე არ შეთანხმდებიან);

3.5. ბანკი უფლებამოსილია, საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, საკუთარი ხარჯით და მისთვის მისაღები პირობებით დააზღვიოს კლიენტის გარდაცვალების გამო

საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ბანკის წინაშე წარმოშობილი კლიენტის ვალდებულებების შეუსრულებლობის და/ან შესაბამისი ვალდებულებების უზრუნველყოფის საგან(ებ)ის განადგურების რისკ(ებ)ი. აღნიშნულთან დაკავშირებით, კლიენტი უფლებას ანიჭებს ბანკს, რომ:

3.5.1. კლიენტის სახელით იმოქმედოს და გამოვიდეს კლიენტის მიერ შერჩეულ და მხარეთა შორის შეთანხმებულ (ბანკისთვის მისაღებ) სადაზღვევო კომპანიასთან და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობებში, დადოს ან/და ხელი მოაწეროს ნებისმიერ გარიგებას/ხელშეკრულებას, მიმართვას, განცხადებას ან/და სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რაც დაკავშირებულია „3.5.“ პუნქტში აღნიშნული რისკების სათანადოდ დაზღვევასთან და ბანკის, როგორც ბენეფიციარის მიერ, შესაბამისი დაზღვევით სარგებლობასთან;

3.5.2. კლიენტის სახელით განახორციელოს მისი გარდაცვალების გამო საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ბანკის წინაშე წარმოშობილი კლიენტის ვალდებულებების შეუსრულებლობის და/ან შესაბამისი ვალდებულებების უზრუნველყოფის საგან(ებ)ის განადგურების რისკ(ებ)ის დაზღვევა კლიენტის მიერ შერჩეულ და მხარეთა შორის შეთანხმებულ (ბანკისათვის მისაღებ) სადაზღვევო კომპანიაში, ბანკისთვის მისაღები პირობებითა და პერიოდით;

3.5.3. უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისში ერთდერთ ბენეფიციარად ბანკის დასახელება;

3.5.4. განახორციელოს მზღვეველის ცვლილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, შეწყვიტოს ნებისმიერ მზღვეველთან არსებული სადაზღვევო ურთიერთობა/ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია ბანკის მომსახურებასთან;

3.5.5. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს მიიღოს ბანკისგან ინფორმაცია დაზღვევით სარგებლობისა და დაზღვევის პირობების შესახებ;

3.6. კლიენტი აცნობიერებს, რომ სპეციფიკური პირობების „3.5.“ პუნქტში განსაზღვრული ბანკის უფლებამოსილებების განხორციელება წარმოადგენს ბანკის ნებას და არა ვალდებულებას; აღნიშნული უფლების რეალიზება არ არის დამოკიდებული კლიენტის რაიმე დამატებით თანხმობაზე, ნებართვაზე ან/და მინდობილობაზე და ეს უფლებამოსილება მესამე პირებთან, მათ შორის, სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

3.7. მხარეები ვალდებული არიან, დაიცვან საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების კონფიდენციალობა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (ა) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (ბ) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (გ) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად; (დ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც მოხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 4. ანგარიშით და ბარათით სარგებლობის დამატებითი პირობები

4.1. კლიენტი უფლებამოსილია, გამოიყენოს ანგარიშზე არსებული თანხა და საკრედიტო ლიმიტი, შესაბამისი საკომისიო(ებ)ის (მათ შორის, ბარათის მოხმარებასთან დაკავშირებული საკომისიოების) გამოკლებით. თანხის გადახარჯვის შემთხვევაში ძირითად თანხას ასევე გამოაკლდება გადახარჯვასთან დაკავშირებული საკომისიო(ები).

4.2. ბარათი აღჭურვილია უკონტაქტო გადახდის მექანიზმით და საშუალებას აძლევს კლიენტს, ბარათით დებეტური ოპერაციები და საკრედიტო ლიმიტიდან კრედიტის ათვისება განახორციელოს: (ა) პოს ტერმინალზე ბარათის ფიზიკური მიღების გზით, (ბ) დისტანციური ან ელექტრონული/ინტერნეტ მომსახურების გამოყენებით (ონლაინ რეჟიმში), ასევე (გ) ბანკომატიდან განაღდებათ.

4.3. ანგარიშზე თანხა შეიძლება ჩაირიცხოს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო საბანკო ანგარიშსწორების წესით.

4.4. თუ ძირითადი პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შეთანხმებით, ანგარიშზე დასაშვებია როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ბარათ(ებ)ის გაცემა, აგრეთვე უკონტაქტო სტიკერის დამატება.

4.5. ანგარიშისა და ბარათის მომსახურებასთან დაკავშირებულ საკომისიო(ებ)ს კლიენტი უხდის ბანკს მომსახურების გაწევის დროისათვის ბანკში დადგენილი და მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

4.6. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშზე განხორციელებული ოპერაცი(ებ)ის (ტრანზაქცი(ებ)ის) ანგარიშზე ასახვის რიგითობაზე. ერთსა და იმავე დღეს კრედიტითა და საკუთარი სახსრებით ბარათის საშუალებით საბანკო ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, საკომისიოს დარიცხვა მოხდება ტრანზაქციების შესახებ ბანკისათვის მოწოდებული (ბანკის მიერ მიღებული) ინფორმაციის რიგითობის მიხედვით.

4.7. ბარათის განახლება მოხდება კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე. ბარათის განუახლებლობის შემთხვევაში, საკრედიტო ლიმიტიდან ათვისებულ თანხაზე (კრედიტზე) პროცენტის დარიცხვა და არსებული დავალიანების დაფარვა გრძელდება მოქმედი პირობების შესაბამისად. თუ ბარათის მოქმედების ვადის გასვლამდე 1 (ერთი) კვირით ადრე კლიენტი წერილობით არ განაცხადებს უარს ბარათის განახლებაზე, ანგარიშზე დადებითი (საკმარისი) თანხის არსებობის შემთხვევაში, ბარათის განახლება განხორციელდება ავტომატურად, ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის ბოლო თვეს, იმავე პირობებით, ახალი შეთანხმების გაფორმების გარეშე (თუ ბანკის მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული).

4.8. მესამე პირის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე და წარმოქმნილი დავალიანების დაფარვაზე კლიენტი პასუხს აგებს სრულად.

4.9. ეროვნულ ვალუტაში ემიტირებული ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციები, გარდა ეროვნულ ვალუტაში შესრულებული ოპერაციებისა, დაკონვერტირდება შესაბამის უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარში, ევრო) და შემდეგ ეროვნულ ვალუტაში აისახება კლიენტის ანგარიშზე. ეროვნულ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები პირდაპირ აისახება კლიენტის ანგარიშზე. კონვერტაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება „ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულებით.

მუხლი 5. ინფორმაცია კლიენტის შესახებ

5.1. მხარეები თანხმდებიან, რომ საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ბანკი შეაგროვებს/დაამუშავებს კლიენტის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

5.2. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია, გაასწოროს, განახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

5.3. კლიენტი უფლებას ანიჭებს ბანკს და თანახმაა, რომ:

5.3.1. ბანკმა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის (კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის) შესახებ პერსონალური და/ან ბიომეტრიული მონაცემები;

5.3.2. ბანკმა საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, დაამუშავოს კლიენტის (კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის) შესახებ ნებისმიერი კანონიერი გზით (მათ შორის, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან) მოპოვებული პერსონალური მონაცემები, მათ შორის, მოახდინოს მათი გამოყენება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის (სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის შეთავაზებისთვის);

5.3.3. ბანკმა დაამუშაოს (მათ შორის, გასცეს შესაბამისი პერიოდულობით სადაზღვევო კომპანიაზე) კლიენტის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია (მათ შორის, კლიენტის გარდაცვალების შემდეგ, შესაბამისი მიზეზების დასადგენად, თუ კლიენტი ფიზიკური პირია) სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობის მიზნით;

5.3.4. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დაარღვევს ბანკთან დადებული რომელიმე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ან ეს საჭირო იქნება ბანკის საქმიანი რეპუტაციის ან/და კანონიერი ინტერესის დასაცავად, ან/და კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით, ბანკმა სასამართლოს/არბიტრაჟს/აღსრულების ეროვნულ ბიუროს/კერძო აღმასრულებელს/ნებისმიერ მესამე პირს გადასცეს ან/და გამოიყენოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ ისევე, როგორც კლიენტის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დოკუმენტი;

5.3.5. ბანკმა კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე მიაწოდოს თავდებ(ებ)ს ან/და პირ(ებ)ს, რომელთა ქონებ(ებ)ითაც უზრუნველყოფილია კლიენტის ვალდებულებ(ებ)ი, ინფორმაცია/დოკუმენტაცია იმ ვალდებულებათა შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფილია კონკრეტულად ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიმღები პირის თავდებობით ან/და ქონებით. ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება): დავალიანების მოცულობას, ვადას, საკრედიტო პროდუქტის დაფარვის ისტორიას, შესაბამის ხელშეკრულებებს და სხვა. ამ პუნქტში განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება არ განიხილება საბანკო საიდუმლოების გაცემად.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობა ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ განესაზღვრათ და თავიდან აეცილებინათ.

6.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება სტიქიური უბედურებანი (მიწისძვრა, ხანძარი და სხვა), ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ცვლიან, აჩერებენ ან წყვეტენ საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების დებულებებს, ნებისმიერი ხასიათის საომარი მოქმედებანი და სხვა ამგვარი მოვლენები, რომელთა წარმოშობაზეც ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ.

6.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იყოს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

6.4. ფორს-მაჟორი არ ათავისუფლებს მხარეებს მისი (ფორს მაჟორის) დასრულების შემდეგ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

6.5. თუ ფორს-მაჟორი გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულება, მისი შეწყვეტის მომენტისათვის არსებული ვალდებულებების მთლიანი შესრულებით.

მუხლი 7. შეტყობინება

7.1. თუ საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მხარეთა შეტყობინება ხორციელდება წერილობით. ამასთან, ბანკს უფლება აქვს, შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც - ელექტრონული ფოსტა, დისტანციური არხ(ებ)ი (მათ შორის, ინტერნეტ-ბანკი, მობაილ-ბანკი), ან სატელეფონო (სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) შეტყობინება. შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე.

7.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია შესაბამისი წესით (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

7.2.1. კურიერის ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში - (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის მიერ - გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია კლიენტის მიერ - ბანკის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო საბანკო დღეს;

7.2.2. ბანკის მიერ შეტყობინების ელექტრონული ფოსტის, დისტანციური არხის (მათ შორის, ინტერნეტ-ბანკის, მობაილ ბანკის) ან ტელეფონის (სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღის მომდევნო საბანკო დღეს.

7.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება ერთ-ერთი შემდეგი მიზეზის გამო: (ა) შესაბამის მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, (ბ) ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან (გ) ადრესატი თავს აარიდებს შეტყობინების მიღებას.

7.4. კლიენტი ვალდებულია, საკონტაქტო რეკვიზიტებში ცვლილების განხორციელებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში, წერილობით აცნობოს ბანკს სახელი/გვარის (სახელწოდების), საპასპორტო მონაცემების (რეგისტრაციის მონაცემების), მისამართის (იურიდიული/ფაქტიური) და საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ.) ცვლილებების შესახებ.

7.5. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგებზე.

მუხლი 8. დავების გადაწყვეტა

8.1. საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილ სადაო საკითხებს ბანკი და კლიენტი გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თუ საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობებით ან ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული სხვა სათანადო შეთანხმებით გათვალისწინებული არ არის საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტულ არბიტრაჟზე, მხარეთა შორის არსებულ სადაო საკითხებს განიხილავს სასამართლო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის გადახდის ბრძანება) მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ერთი პრიმა ნაწილის შესაბამისად.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და/ან ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის მიერ, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე სპეციფიკური პირობები ყველა შესაბამის კლიენტთან მიმართებაში ძალაში შედის მხარეთა მიერ საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების (ძირითადი პირობების) გაფორმების (ხელმოწერის) მომენტიდან და მოქმედებს კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

9.2. საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების (ან/და მისი რომელიმე პირობის) ვადამდე შეწყვეტა ან/და კლიენტის მიერ პირგასამტეხლოს/საკომისიოს/ჯარიმის გადახდა, არ ათავისუფლებს კლიენტს ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

9.3. თუ ძირითადი პირობებით ან/და მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულებაში (მათ შორის, ძირითად ან/და სპეციფიკურ პირობებში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია:

9.3.1. მხარეთა შორის წერილობითი ფორმით გაფორმებული ან/და ბანკის დისტანციური მომსახურების არხის მეშვეობით დადებული შეთანხმებით, ან

9.3.2. ბანკის მიერ, ცალმხრვად, რა დროსაც კლიენტს შეტყობინება გაეგზავნება ცვლილებ(ებ)ის ძალაში შესვლამდე მინიმუმ 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე, საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით. თუ კლიენტი არ ეთანხმება ცვლილებას, იგი უფლებამოსილია, ცვლილების ძალაში შესვლამდე შეწყვიტოს საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულების მოქმედება ბანკის მიმართ არსებული ვალდებულებების სრულად შესრულებით. სხვა შემთხვევაში, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად, ხოლო ხელშეკრულება შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.

8.4. ბანკს არ ევალება კლიენტის ინფორმირება ხელშეკრულების ისეთ ცვლილებებზე/დამატებებზე, რომელიც ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ და უფლება აქვს, ძალაში შეიყვანოს ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე (www.basisbank.ge) და/ან ბანკის სერვისცენტრებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსებისთანავე.

8.5. ურთიერთობები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ხელშეკრულებით, რეგულირდება გენერალური ხელშეკრულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.6. ბანკის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ.2), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე (www.basisbank.ge) და გააჩნია სათანადო იურიდიული ძალა.